



მიტროპოლიტი ილარიონი: საერთო გამოწვევის წინაშე ქვეყნებს შორის არსებული უთანხმოება გვერდზე უნდა გადავდეთ



2021 წლის 30 ოქტომბერს რომში ჩატარდა სამიტი G20, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფოთა ლიდერები განიხილავენ მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე ამჟამად არსებულ გამოწვევებს. მათ შორისაა ამჟამად გავრცელებული კორონავირუსის ეპიდემია და მისი გავლენა სხვადასხვა ქვეყნის ცხოვრების ისეთ ასპექტებზე, როგორცაა ჯანდაცვის, ეკონომიკის თუ სხვა სფეროები.

მიმდინარე სამიტის ტელეპროგრამის - „ეკლესია და მსოფლიო“ („Церковь и мир“) - ეთერში კომენტარებისას, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების

თავმჯდომარემ ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა აღნიშნა: „მე ვფიქრობ, რომ „დიდი ოცეულის“ ქვეყნების ურთიერთქმედება დიდი ხნის მომნიჭებული საკითხია, მით უფრო, ამჟამინდელი პანდემიის პირობებში. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ „ოცეულის“ ქვეყნებს შორის შეიძლება მრავალ საკითხში აზრთა სხვადასხვაობა არსებობდეს, პირველ რიგში პოლიტიკურ დონეზე, მაგრამ როდესაც საქმე ეხება ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, როდესაც საქმე ეხება მთელი კაცობრიობის წინაშე წამოჭრილ გამოწვევას, პოლიტიკური უთანხმოებები განზე უნდა გადავდოთ.“

მნიშვნელოვან საკითხებს შორის, რომლებიც გადაჭრას მოითხოვს, სახელდება კორონავირუსის სანინააღმდეგო ვაქცინის ურთიერთალიარების საკითხი. მეუფე ილარიონის აზრით ეს საკითხი დიდი ხანია მომნიჭდა. მან აღნიშნა, რომ რუსული ვაქცინები არაფრით ჩამოუვარდება დასავლურ ვაქცინებს, თუმცა ის ადამიანები, რომლებიც რუსეთში აიცრნენ, დასავლეთის ქვეყნებში ჩასვლისას მუდმივად აწყდებიან სხვადასხვაგვარ დისკრიმინაციას იმის გამო, რომ კორონავირუსის სანინააღმდეგო რუსული აცრა არ არის აღიარებული დასავლეთის ქვეყნებში, რის გამოც მათ ხშირად საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებშიც კი ეკრძალებათ გამოჩენა. იგივე პრობლემა ექმნებათ მათაც, ვინც რუსეთში ჩამოდის, ვინაიდან აქ დასავლური ვაქცინები არ არის აღიარებული.

სსკგ-ის კომუნიკაციების სამსახური

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/88334/>